



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 181/ს
05/07/2022

181-21-4-202207051249



თერჯოლის მუნიციპალიტეტში, სოფ. კვახჭირის მიმდებარე ტერიტორიაზე შპს „ექსიმგრუპის“ ფეროშენადნობების წარმოების ქარხნის (სილიკომანგანუმის საწარმოს) ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის და ამავე კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. გაიცეს, თერჯოლის მუნიციპალიტეტში, სოფ. კვახჭირის მიმდებარე ტერიტორიაზე შპს „ექსიმგრუპის“ ფეროშენადნობების წარმოების ქარხნის (სილიკომანგანუმის საწარმოს) ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე სკოპინგის დასკვნა N 34;
2. შპს „ექსიმგრუპი“ ვალდებულია გზმ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N 34 სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ექსიმგრუპს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ექსიმგრუპის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და თერჯოლის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

სკოპინგის დასკვნა N34

საქმიანობის დასახელება: ფეროშენადნობების საწარმოს ექსპლუატაციის პირობის ცვლილება;

საქმიანობის განმახორციელებელის დასახელება და მისამართი: შპს „ექსიმგრუპი“, ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ყიფშიძის N 20ა; ბ 11;

საქმიანობის განხორციელების ადგილი: თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფ. კვახჭირის მიმდებარედ;

სკოპინგის ანგარიშის შემდგენელი: შპს „გამა კონსალტინგი“;

განცხადების შემოსვლის თარიღი: 10.05.2022;

ძირითადი საპროექტო მონაცემები:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში შპს „ექსიმგრუპის“ (ს/კ - 405239674) მიერ წარმოდგენილია - თერჯოლის მუნიციპალიტეტში, სოფ. კვახჭირის მიმდებარე ტერიტორიაზე ფეროშენადნობების წარმოების ქარხნის (სილიკომანგანუმის საწარმოს) ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკოპინგის ანგარიში.

2019 წლის 22 თებერვალს თერჯოლის მუნიციპალიტეტში შპს „ექსიმგრუპის“ ფეროშენადნობების წარმოების ქარხნის (სილიკომანგანუმის საწარმოს) მოწყობასა და ექსპლუატაციაზე გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება №2-60).

2022 წლის 9 მარტს შპს „ექსიმგრუპის“ ფეროშენადნობების წარმოების ქარხნის (სილიკომანგანუმის საწარმოს) ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე გაიცა სკრინინგის გადაწყვეტილება, გარემოზე ზემოქმედების შეფასებას დაქვემდებარების შესახებ და კომპანიას დაევალა „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-8 მუხლით განსაზღვრული სკოპინგის პროცედურის გავლა. ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში, კომპანიის მიერ დაგეგმილია ფეროშენადნობების წარმოების ქარხნის წარმადობის გაზრდა და დამატებით ერთი - 18 მგვტ სიმძლავრის ელექტრორკალური ღუმელის მოწყობა.

საწარმოს ტერიტორია მდებარეობს თერჯოლის მუნიციპალიტეტის, სოფ. კვახჭირის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე, შპს „ექსიმგრუპის“ საკუთრებაში არსებულ (საერთო ფართობი - 51 000 მ²) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე (ს/კ 33.01.36.467, 33.01.36.468). ტერიტორიის GPS კოორდინატებია: X- 312573.00, Y- 4672110.00; X- 4672110.00 Y- 4672153.00; X- 312616.47 Y-4671990.07; X- 312830.13 Y- 4672025.85; X- 312632.00 Y- 4671900.00; X- 312822.00 Y-4671945.00. საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ განთავსებულია სხვადასხვა ფუნქციური დატვირთვის ობიექტები, მათ შორის ასფალტის და ინერტული მასალების საწარმოები. ამასთან, საწარმოს ესაზღვრება შპს „მანგანუზ ინდასთრის“ საკუთრებაში არსებული ტერიტორია (ს/კ: 33.01.36.466), სადაც ასევე დაგეგმილია ფეროშენადნობთა საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაცია. უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი, მდ. ყვირილა საპროექტო ტერიტორიის საზღვრიდან დაშორებულია დაახლოებით - 210 მეტრით, მდ. რიონი 300 მეტრით, ხოლო მდ. წყალწითელა - 260 მეტრით. უახლოესი საცხოვრებელი სახლი

ფიქსირდება 620 მეტრის დაცილებით. ამასთან, გზშ-ის ეტაპზე დაზუსტებას საჭიროებს საპროექტო ტერიტორიის სამხრეთით (დაახლოებით 500 მეტრში) არსებული შენობა-ნაგებობის ფუნქციური დატვირთვის შესახებ ინფორმაცია.

სკოპინგის ანგარიშში მოცემულია ალტერნატიული ვარიანტების ანალიზი, მათ შორის განხილულია უმოქმედობის (ნულოვანი) და ახალი ღუმელის ტერიტორიის შერჩევის ალტერნატიული ვარიანტები. უმოქმედობის ალტერნატივა უარყოფილ იქნა დაგეგმილი ცვლილების საპროექტო მახასიათებლების, მოსალოდნელი დადებითი სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების და გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების ურთიერთშეწონის გათვალისწინებით. გარემოს სხვადასხვა კომპონენტზე მოსალოდნელი ზემოქმედების გათვალისწინებით უპირატესობა მიენიჭა ახალი ღუმელის მშენებარე საწარმოო შენობაში განთავსებას. **გზშ-ის ეტაპზე დაზუსტებას საჭიროებს პროექტის ტექნოლოგიური ალტერნატივის შესახებ ინფორმაცია.**

2019 წლის 22 იანვრის N2-60 გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიხედვით, ფეროშენადნობების საწარმოში დაგეგმილია ფეროსილიკომანგანუმის დნობა, რისთვისაც გათვალისწინებულია 9 მგვტ სიმძლავრის, ნახევრად ღია ტიპის ღუმელის გამოყენება. საწარმოში წლის განმავლობაში დაგეგმილია 14 400 ტ ნედლეულის წარმოება. საწარმო იმუშავებს დღეში 24 საათს, წელიწადში 365 დღეს. ღუმელში დნობისას წარმოქმნილი მტვერის დასაჭერად გათვალისწინებულია სათანადო ასპირაციული ღონისძიებები.

ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტის თანახმად, შპს „ექსიმგრუპს“ დაგეგმილი აქვს 9 მგვტ სიმძლავრის ღუმელთან ერთად დამატებით 18 მგვტ სიმძლავრის ელექტრორკალური ღუმელის განთავსება და წარმადობის გაზრდა 1.644 ტ/სთ-დან 4.8 ტ/სთ-მდე, სამუშაო რეჟიმის (წელიწადში 365 სამუშაო დღე, დღე-ღამეში 24 სთ) ცვლილების გარეშე. ამასთან სკოპინგის ანგარიშიდან დგინდება, რომ სილიკომანგანუმის ფეროშენადნობის გარდა საწარმოში იგეგმება ფერომანგანუმის, ფეროსილიციუმისა და ფეროქრომის შენადნობების წარმოება, რაც შესაბამისი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით არ იყო გათვალისწინებული და **გზშ-ის ეტაპზე საჭიროებს დაზუსტებას.** სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, დაგეგმილი ცვლილების განხორციელების შემდგომ საწარმოს წლიური წარმადობა ნაცვლად 14 400 ტონისა იქნება 42 000 ტ. აღსანიშნავია, რომ 4,8 ტ/სთ წარმადობისა და არსებული სამუშაო რეჟიმის გათვალისწინებით მიღებული პროდუქტის რაოდენობა გადააჭარბებს 42 000 ტონას წელიწადში და იქნება 42 048 ტ, რაც **გზშ-ის ეტაპზე საჭიროებს დაზუსტებას.**

საწარმოს შემადგენელი ძირითადი ინფრასტრუქტურული ობიექტებია: სადნობი საამქრო; ქვესადგური; მტვერდამჭერი ფილტრები; დახურული საწყობი; მზა პროდუქციის სამსხვრევი დანადგარი; მასალების ღია საწყობი (სანაყარო); წიდის სანაყარო; წყლის რეზერვუარი და საოფისე შენობა. ფეროშენადნობებისთვის გათვალისწინებული ღუმელები, როგორც არსებული ისე საპროექტო, ანალოგიური ტიპისაა და წარმოადგენს 20 მმ ფურცლოვანი რკინისაგან შეკრულ მრგვალ ქვაბისებრ კონსტრუქციას, 60% მაღალ ალუმინიანი ცეცხლგამძლე აგურის და სპეციალურ პასტის ამონაგებით. სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად, არსებულ ღუმელს მოემსახურება 9 მეგავატიანი ტრანსფორმატორი. **ამასთან, დაზუსტებას საჭიროებს საპროექტო ღუმელისთვის ახალი ტრანსფორმატორის მოწყობის შესახებ ინფორმაცია.** სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად, ფეროშენადნობთა საწარმოს ტექნოლოგიური პროცესი იწყება საკაზმე მასალების-ნედლეულის შეტანით, რომელიც განთავსდება საკაზმე მასალის სასაწყობო მეურნეობაში (დახურული საწყობი 900 მ² და ღია საწყობი 2000 მ²). ნედლეული კონვეიერით მიეწოდება

ბუნკერებს (8 ერთეული), კაზმის კომპონენტები ჩაიყრება მადოზირებელ ბუნკერში, სადაც მოხდება ნედლეულის აწონა და კაზმის მომზადება. ბუნკერებიდან კაზმი გადავა ლუმელებში, სადაც დნობის პროცესი დაგეგმილია 1360 °C-ზე. გზმ-ის ეტაპზე საჭიროა დაზუსტდეს ნედლეულის ლუმელში ტრანსპორტირების საკითხი, ვინაიდან, დოკუმენტში (გვ. 12) მოცემული ინფორმაციის თანახმად, ნედლეულის გადატანისთვის ბუნკერი ლუმელს სპეციალური მილის საშუალებით უკავშირდება, ხოლო გვ. 13-ზე განმარტებულია, რომ ნედლეული ლუმელს მიეწოდება ლენტური ტრანსპორტიორით. ლუმელიდან მზა პროდუქცია და წიდა გამოვა ყოველ 2-2.5 საათში ერთხელ. გამოშვებული ლითონის ჩამოსხმა ხორციელდება ელექტრო ამწეების მეშვეობით - შესაბამის ციცხვებში. ლითონის გაციების შემდეგ მოხდება მისი დამსხვრევა (სამსხვრევის წარმადობა - 25 ტ/სთ) და დაფასოება (ე.წ. ბიგ-ბეგებში), რის შემდეგაც გადაიტვირთება მზა პროდუქციის საწყობში. თანმდევი წიდა სათანადო არხების (ღარების) საშუალებით გადადის გაციების ორმოებში (თითოეულ ლუმელისთვის 2 ორმო), საიდანაც გაგრილების შემდეგ გატანილი იქნება წიდის სანაყაროზე (საწარმოს ტერიტორიაზე).

დოკუმენტის მიხედვით, წლის განმავლობაში ფეროსილიკომანგანუმის საწარმოსთვის საჭირო იქნება: მანგანუმის მადნის კონცენტრატი (96 600 ტ/წელ); კოქსი (18 900 ტ/წელ); კირქვა (5040 ტ/წელ); კვარციტი (2100 ტ/წელ); ელექტროდი (1260 ტ/წელ) და რკინის ბურბუშელა (2100 ტ/წელ). აღსანიშნავია რომ ე.წ. „რკინის ბურბუშელა“ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშისა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიხედვით, არ შედიოდა კაზმის შემადგენლობაში. ამასთან, დაზუსტებას საჭიროებს ფერომანგანუმის, ფეროსილიციუმისა და ფეროქრომის შენადნობების წარმოებისთვის საჭირო კაზმის დამზადებისა და შესაბამისი შენადნობის მიღების შესახებ ინფორმაცია. მნიშვნელოვანია, გზმ-ის ეტაპზე დაზუსტდეს ასევე გაზრდილი წარმადობის ფონზე, ნედლეულით-საკაზმე მასალებით საწარმოს მომარაგების საკითხი.

დოკუმენტის თანახმად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში ასევე გათვალისწინებულია მაღალეფექტური აირგამწმენდი სისტემის მოწყობა. თითოეული ლუმელისათვის გათვალისწინებულია დამოუკიდებელი აირგამწოვი სისტემის და სახელოებიანი მტვერდამჭერი ფილტრის მოწყობა, რომელთა გავლის შემდგომ გაფრქვევა მოხდება საერთო მილის (დიამეტრი-1 600 მმ, სიმაღლე - 22 მ) საშუალებით. სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად, ასპირაციულ სისტემაში, ასევე მოხდება მადნის ჩამოსხმისას წარმოქმნილი აირმტვერნარევი და მიღებული პროდუქციის დამსხვრევისას წარმოქმნილი აირმტვერნარევი. მნიშვნელოვანია გზმ-ის ეტაპზე დაზუსტდეს საპროექტო ასპირაციული სისტემის საპასპორტო მონაცემები და დასაბუთდეს შერჩეული აირგამწმენდი სისტემის ეფექტურობის საკითხი.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საწარმოში ლუმელებისა და ტრანსფორმატორების გაგრილებისთვის გათვალისწინებულია ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემის მოწყობა. ტექნიკური წყლის აღება გათვალისწინებულია მდ. რიონიდან. სასმელ-სამეურნეო წყლის მომარაგებისათვის საწარმოს ტერიტორიაზე შესაბამისი ლიცენზიის მიღების შემდგომ დაგეგმილია ჭაბურღილის მოწყობა. სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების შეგროვდება ბეტონის საასენიზაციო ორმოში. საასენიზაციო ორმოს განტვირთვა მოხდება ქ. ქუთაისის შესაბამისი მუნიციპალური სამსახურის მიერ. სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად, საწარმოს ტერიტორიაზე სანიაღვრე წყლების დაბინძურების რისკი მინიმალურია. ტერიტორიაზე ზეთების, სხვა საპოხი მასალებისა და მათი ნარჩენებისათვის გამოყოფილი იქნება დახურული სათავსები. ამასთან, ნედლეულის და

წილის სანაყაროების მოედნების პერიმეტრზე გათვალისწინებულია წყალამრიდი არხების მოწყობა.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, ექსპლუატაციის პროცესში, წლის განმავლობაში, წარმოიქმნება დაახლოებით 60 000 -62 000 ტ წიდა, ასევე 11 000-12 000 ტ მტვერი, მტვერდამჭერი ფილტრებიდან მიღებული. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საწარმოს ექსპლუატაციის დაწყების შემდეგ მოხდება წილის და მტვრის ნიმუშების ლაბორატორიული კვლევა, ნარჩენების შესაბამისი (სახიფათო/არასახიფათო) კლასიფიკაციის მიზნით. ამასთან აღსანიშნავია, რომ შესაბამისი გზშ-ის ანგარიშით წილის მართვისთვის განსაზღვრულია მისი რეალიზაცია სხვადასხვა სამშენებლო ორგანიზაციებზე. მნიშვნელოვანია - საწარმოს ექსპლუატაციის პირობის ცვლილების გზშ-ის ეტაპზე წარმოდგენილი იქნეს ინფორმაცია წილის სასაწყობე ტერიტორიის შევსების დაზუსტებული დროისა და წილის შემდგომი მართვის კონკრეტული ღონისძიებების შესახებ, კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით.

სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილია პროექტის განხორციელებით გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია, ასევე ზოგადი ინფორმაცია იმ ღონისძიებების შესახებ, რომელიც გათვალისწინებულია უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილებისათვის, შემცირებისათვის ან/და შერბილებისთვის. მნიშვნელოვანი ზემოქმედება გარემოზე ძირითადად დაკავშირებული იქნება ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებასთან და ხმაურის გავრცელებასთან, ასევე ნარჩენების გავრცელებასთან. მოსალოდნელი ზემოქმედების ეფექტური მართვის მიზნით მნიშვნელოვანია გზშ-ის ეტაპზე განისაზღვროს სათანადო გარემოსდაცვითი, მათ შორის შემარბილებელი ღონისძიებები და მონიტორინგის საკითხები.

სკოპინგის ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია საწარმოს ექსპლუატაციის დროს ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული დამაბინძურებელი ნივთიერებების, გაფრქვევის წყაროების შესახებ და წარმოდგენილია ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა მოდელირება. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ზემოქმედების შეფასება შესრულებულია საპროექტო ობიექტის ირგვლივ არსებული ყველა საწარმოს ერთდროული მუშაობის დროს მოსალოდნელი ემისიების გათვალისწინებით. დოკუმენტის მიხედვით, საცხოვრებელი ზონის საზღვარზე ატმოსფერული ჰაერის ხარისხი არ გადააჭარბებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნორმებს. საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა კონცენტრაციების მონიტორინგის მიზნით გათვალისწინებულია უწყვეტი (ონლაინ) მონიტორინგის სისტემის მოწყობა.

დოკუმენტის მიხედვით, საწარმოს საქმიანობის პროცესში ხმაურის გავრცელების წყაროს წარმოადგენს: ტექნოლოგიური დანადგარები, ელექტრო ძრავები და ტერიტორიაზე ტექნიკის გადაადგილება. სკოპინგის ანგარიშში გაანგარიშებული ხმაურის გავრცელების დონეების მიხედვით, საწარმოს ტერიტორიაზე ხმაურის მაქსიმალური მაჩვენებელი 95.8 დბა-ს, ხოლო ტერიტორიიდან 620 მეტრის დაშორებით 42 დბა-ს შეადგენს. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ხმაურის გავრცელებას 32 დბა-მდე შეამცირებს ტერიტორიაზე არსებული სხვადასხვა ბარიერი (ხე-მცენარეები, შენობა ნაგებობები).

საპროექტო ტერიტორიის მდ. რიონის სიახლოვიდან გამომდინარე კომპანიას დაგეგმილი აქვს ტერიტორიის შემოზღუდვა 0.5 მ სიმაღლის ბეტონის ღობით. პროექტში შეტანილი ცვლილებები არ ითვალისწინებს ახალი ტერიტორიის ათვისებასა და მიწის სამუშაოების მოცულობების გაზრდას შესაბამისად, პროექტის განხორციელებით არ იქნება

მოსალოდნელი მნიშვნელოვანი ზემოქმედება გეოლოგიურ გარემოზე, ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე და გრუნტის ხარისხზე, ასევე ბიოლოგიურ გარემოზე.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელია ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებისა და ხმაურის გავრცელების კუთხით. საპროექტო ობიექტის სიახლოვეს ანალოგიური ტიპის საწარმოს განთავსების გათვალისწინებით კუმულაციური ზემოქმედება დაკავშირებული იქნება ასევე ნედლეულის-პროდუქციის ტრანსპორტირებასთან. საკითხის დეტალური ანალიზის მიზნით, გზშ-ის ეტაპზე უნდა მოხდეს კუმულაციური ეფექტის გამომწვევი ყველა წყაროს იდენტიფიცირება, ამასთან უნდა განისაზღვროს საპროექტო არეალში არსებული და დაგეგმილი საქმიანობებით მოსალოდნელი ჯამური/მასშტაბური ზემოქმედების მნიშვნელობა და წარმოდგენილი იქნეს კონკრეტული სახის შემარბილებელი ღონისძიებები, ეფექტურობის დასაბუთებით.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სააგენტომ უზრუნველყო წარმოდგენილი სკოპინგის ანგარიშის და საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის გავრცელება, მათ შორის ინფორმაცია გამოქვეყნდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე, ასევე განთავსდა სსიპ „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის“ ვებგვერდზე და გადაიგზავნა ცენტრის გამომწერებთან ელ. ფოსტის მეშვეობით. განცხადებები განთავსებული იქნა ასევე ქალაქ თერჯოლაში. აღნიშნულ სკოპინგის ანგარიშთან დაკავშირებით საჯარო განხილვა გაიმართა 2022 წლის 3 ივნისს. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ - სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, შპს „გამა კონსალტინგის“, შპს „ექსიმგრუპის“, სოფ. კვახჭირის ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლები და ადგილობრივი მოსახლეობა. საჯარო განხილვის ფარგლებში დაფიქსირებული შეკითხვები/მოსაზრებები ეხებოდა საქმიანობის განხორციელებით ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელ ზემოქმედებას, მათ შორის ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევით მოსალოდნელ გრძელვადიან უარყოფით ეფექტებს. შპს „გამა კონსალტინგის“ წარმომადგენელმა განმარტა, რომ ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების კონტროლის მიზნით, დაგეგმილია უწყვეტი მონიტორინგის სისტემის მონტაჟი, რომელიც განახორციელებს გაფრქვეული ნივთიერებების სისტემატურ კონტროლს, ხოლო კანონმდებლობით დადგენილი ნორმების გადაჭარბების შემთხვევაში, მაკონტროლირებელი ორგანო მოახდენს შესაბამის რეაგირებას.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, პროექტთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები/მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკოპინგის პროცედურის შედეგად სააგენტოს მიერ იდენტიფიცირებული იქნა გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ძირითადი ზემოქმედების წყაროები, სახეები და ობიექტები. ამასთან, განსაზღვრული და დადგენილი იქნა დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი, ასევე გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი ზემოქმედებების საკითხები.

გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი:

1. გზშ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს: „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ ინფორმაციას;

2. **გზმ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს:** „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული დოკუმენტაცია;
3. **გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს:** სკოპინგის ანგარიშში მითითებული (განსაზღვრული, ჩასატარებელი) კვლევების შედეგები, მოპოვებული და შესწავლილი ინფორმაცია, გზმ-ის პროცესში დეტალურად შესწავლილი ზემოქმედებები და შესაბამისი შემცირების/შერბილების ღონისძიებები;
- 3.1. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად **გზმ-ის ანგარიშში ხელმოწერილი უნდა იყოს** იმ პირის/პირების მიერ, რომელიც/რომლებიც მონაწილეობდა/მონაწილეობდნენ მის მომზადებაში, მათ შორის, კონსულტანტის მიერ;
- 3.2. გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს ადგილზე არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, სადაც შეფასებული და გაანალიზებული იქნება საწარმოს ტერიტორიაზე ამჟამად არსებული მდგომარეობა და ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ზემოქმედების სახეები, შემარბილებელ ღონისძიებებთან ერთად;
4. **გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს:**
 - არსებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება - N2-60 (22.01.2022), განსაზღვრული საქმიანობის შესახებ ინფორმაცია;
 - ექსპლუატაციის პირობების ცვლილების საჭიროების დასაბუთება;
 - ექსპლუატაციის პირობების ცვლილების დეტალური აღწერა, განსაზღვრული ღონისძიებების მითითებით;
 - საქმიანობის განხორციელების ადგილის აღწერა-დახასიათება, საკადასტრო კოდ(ებ)ის, და GPS კოორდინატების მითითებით, Shp ფაილებთან ერთად;
 - ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით საწარმოს განახლებული გენ-გეგმა, შესაბამისი ექსპლიკაციით, საპროექტო დანადგარებისა და ტექნოლოგიური მოწყობილობების/უბნების, ასევე გაფრქვევისა და ხმაურის გავრცელების წყაროების მითითებით;
 - საწარმოს ტერიტორიის სიტუაციური სქემა (შესაბამისი აღნიშვნებით, ფოტო მასალა);
 - საპროექტო ტერიტორიიდან დაზუსტებული მანძილი უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე, დასახლებამდე (სოფელი, ქალაქი), ასევე ზედაპირული წყლის ობიექტებამდე;
 - ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიის მოსაზღვრე ტერიტორიების, ასევე ახლომდებარე მოქმედი/საპროექტო ობიექტების (საწარმოდან 500 მ რადიუსში) და მათი ფუნქციური დატვირთვის შესახებ (მანძილების მითითებით);
 - საწარმოს ადგილმდებარეობის გარემოს არსებული მდგომარეობის ანალიზი;
 - გარემოს დაცვის მიზნით შემოთავაზებული გონივრული ალტერნატიული ვარიანტების შესახებ ინფორმაცია, შესაბამისი დასაბუთებით. მათ შორის უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივის, ტექნოლოგიური ალტერნატივების, ადგილმდებარეობის ალტერნატივების ანალიზი და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით შერჩეული ალტერნატივების აღწერა-დასაბუთება. **გზმ-ის ანგარიშის შესაბამის ქვეთავში, დეტალურად უნდა იქნეს დასაბუთებული ობიექტის ტექნოლოგიური ალტერნატივების, მათ შორის ღუმელის და მტვერდამჭერი სისტემის შერჩეული ალტერნატივების გარემოსდაცვითი და ტექნიკური უპირატესობები;**

- ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით - ინფორმაცია საწარმოს ფიზიკური მახასიათებლების შესახებ, მათ შორის **დაზუსტებული ინფორმაცია** საპროექტო წარმადობის (სთ, დღე, წელი) და სამუშაო რეჟიმის/გეგმა-გრაფიკის შესახებ;
- საწარმოს დანადგარების, ტექნოლოგიური მოწყობილობებისა და ტექნოლოგიური უზნების დეტალური აღწერა, თითოეული საწარმოო ობიექტის/უზნის ტექნიკური პარამეტრებისა და ტექნოლოგიური სქემების მითითებით. მათ შორის, პროექტით გათვალისწინებული ღუმელის შესახებ დეტალური ინფორმაცია, სიმძლავრის, ტიპისა და წარმადობის მითითებით;
- ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით - საწარმოს ტექნოლოგიური სქემის/ციკლის დეტალური აღწერა, შესაბამისი თანმიმდევრობით, ნედლეულის შემოტანიდან-პროდუქციის მიღებამდე (ფერომანგანუმის, ფეროსილიციუმისა და ფეროქრომის შენადნობების წარმოების გათვალისწინებით);
- **დაზუსტებული ინფორმაცია** მიღებული/წარმოებული პროდუქციის, მისი სახეობისა და რაოდენობის, დროებითი განთავსებისა და შემდგომი რეალიზაციის შესახებ;
- ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით - დაზუსტებული **ინფორმაცია** გამოყენებული ნედლეულისა და დანამატების შესახებ. მათ შორის, დეტალური ინფორმაცია საწარმოს (სხვადასხვა სახეობის) ნედლეულით მომარაგების, ნედლეულის რაოდენობისა და დასაწყობების პირობების (დასაწყობების ადგილის მითითებით) შესახებ;
- ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირების შესახებ დეტალური ინფორმაცია. მათ შორის ინფორმაცია:
 - ტრანსპორტირების მარშრუტების შესახებ (რუკაზე ჩვენებით, სქემატური ნახაზებით). ამასთან, ტრანსპორტირების გეგმა-გრაფიკი, ნედლეულის/პროდუქციის შემოტანის/გატანის პროცედურების სიხშირის მითითებით;
 - ინფორმაცია დასახლებულ პუნქტ(ებ)ში გადაადგილების შესაბამისი პირობების შესახებ. მაგ: დაბალი სიჩქარე, სამოდრაო გზის მორწყვა, ძარის გადახურვა, ღამის საათებში (ნედლეულისა და პროდუქციის შემოზიდვა/გაზიდვის) გადაადგილების აკრძალვა;
 - ინფორმაცია ნედლეულის პროდუქციის გადაზიდვისთვის გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებების შესახებ;
 - ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირების შესახებ მუნიციპალიტეტთან შეთანხმების/კომუნიკაციის ამსახველი ინფორმაცია;
 - ინფორმაცია საწარმომდე მისასვლელი გზ(ებ)ის შესახებ;
- დეტალური ინფორმაცია ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების პრევენციის მიზნით გათვალისწინებული საპროექტო აირმტვერდამჭერი სისტემის შესახებ (ტექნიკური პარამეტრების, საპასპორტო მონაცემებისა და ეფექტურობის მითითებით);
- ინფორმაცია გამწმენდი მოწყობილობების პარამეტრების დაცვის და გამართულად ექსპლუატაციის უზრუნველყოფის შესახებ (მათ შორის ფილტრების დროული გამოცვლის შესახებ);
- ინფორმაცია აირმტვერდამჭერი მოწყობილობის მიერ დაჭერილი მტვრის და მისი მართვის (მათ შორის, კვლავ წარმოებაში გამოყენების შესაძლებლობის) შესახებ;

- დეტალური ინფორმაცია საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვის საკითხების შესახებ. კერძოდ, მეტალურგიული პროცესებიდან წარმოქმნილი წიდის, აირდამჭერი სისტემებიდან წარმოქმნილი და სხვა ნარჩენების მართვის (ინფორმაცია მათი შეგროვების, დროებითი განთავსების და შემდგომი მართვის შესახებ) საკითხების გათვალისწინებით;
- **დეტალური ინფორმაცია** საწარმოო პროცესის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენი წიდის რაოდენობის, წიდისთვის ლაბორატორიული კვლევის ჩატარების, დროებითი დასაწყობების ადგილის, დასაწყობების პირობებისა და შემდგომი მართვის კონკრეტული ღონისძიებების შესახებ, კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით;
- ინფორმაცია საწარმოში წარმოქმნილი წიდის კვლავწარმოებაში გამოყენების შესაძლებლობის შესახებ;
- დაზუსტებული ინფორმაცია წიდის გასაცემელი ორმო(ებ)ის შესახებ (ტიპი, მოცულობა, მოწყობის ტექნიკური გადაწყვეტა);
- დაზუსტებული ინფორმაცია ლითონისა და წიდის გაგრილების ტექნოლოგიის შესახებ (ბუნებრივად, სხვადასხვა საშუალებების ზეწოლით);
- საპროექტო ობიექტის სასმელ-სამეურნეო და საწარმოო წყალმომარაგების შესახებ ინფორმაცია;
- ინფორმაცია საპროექტო ობიექტის წყალმომარაგების მიზნით ჭაბურღილის გამოყენების შესახებ, ამასთან ჭაბურღილის გამოყენების შემთხვევაში გზშ-ის ანგარიშს თან უნდა დაერთოს ინფორმაცია, შესაბამისი ლიცენზიის შესახებ;
- ინფორმაცია საწარმოო მიზნით გათვალისწინებული წყალაღების შესახებ, მათ შორის მითითებული უნდა იყოს: აღებული წყლის რაოდენობა, წყალაღებისთვის გათვალისწინებული ინფრასტრუქტურის მოწყობა, წყალაღების GPS კოორდინატები;
- დეტალური ინფორმაცია საწარმოო პროცესში წყლის გამოყენების, მათ შორის ღუმელის და ტრანსფორმატორის გაგრილებისთვის ბრუნვითი წყალმომარაგების შესახებ;
- ინფორმაცია სამეურნეო-ფეკალური წყლების მართვის საკითხების შესახებ, მათ შორის ინფორმაცია საასენიზაციო ორმოს შესახებ ;
- საწარმოს ტექნოლოგიურ უბნებზე, მათ შორის წიდის დროებით დასაწყობების უბანზე, წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების დაბინძურებისა და მათი მართვის ღონისძიებების შესახებ დეტალური ინფორმაცია;
- ინფორმაცია შესაძლო ავარიული სიტუაციების შესახებ. ამასთან, განხილული იქნეს საწარმოს სახანძრო უსაფრთხოების საკითხები, მათ შორის ხანძარქრობის სისტემის შესახებ ინფორმაცია;
- ინფორმაცია საწარმოო ტერიტორიის დატბორვის პრევენციისთვის გათვალისწინებული შემომზღუდავი ბეტონის შემოღობვის შესახებ. ამასთან წარმოდგენილი უნდა იქნეს: მოსალოდნელი წყალდიდობის და წყალმოვარდნის, მათ შორის ტერიტორიის დატბორვის საშიშროების შესახებ დეტალური ინფორმაცია; საწარმოო ტერიტორიის დატბორვის პრევენციისთვის შერჩეული საინჟინრო გადაწყვეტის ეფექტურობის დასაბუთება (სადაც კედლის კონსტრუქციის პროექტირებისას, გათვალისწინებული უნდა იყოს გარდაუვალი დატბორვის და დაზიანების რისკი);
- ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიის ფარგლებში გამწვანების ზოლის მოწყობის შესაძლებლობის შესახებ;
- ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიაზე გაბატონებული ქარების მიმართულების შესახებ;

- ინფორმაცია არახელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებში საწარმოს ფუნქციონირების შეზღუდვის ღონისძიებების შესახებ;
- დასაქმებული ადამიანების რაოდენობა, მათ შორის დასაქმებულთა შორის ადგილობრივი მოსახლეობის წილი, ასევე პერსონალის პროფესიული და ტექნიკური სწავლების შესახებ ინფორმაცია;
- საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში ტერიტორიის პირვანდელ მდგომარეობამდე აღდგენის ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია;
- ინფორმაცია გზშ-ის ფარგლებში ჩატარებული საბაზისო/საძიებო კვლევებისა და გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის გამოყენებული მეთოდების შესახებ.

5. ექსპლუატაციის პირობის ცვლილების პროექტის განხორციელების შედეგად გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს თითოეული კომპონენტისათვის და პროექტის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედებების შეჯამება, მათ შორის:

- პროექტის ფარგლებში მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ატმოსფერულ ჰაერზე, სადაც მოცემული უნდა იყოს:
 - ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროები (გენ-გეგმაზე მითითებით), გაფრქვეული მავნე ნივთიერებები და გაბნევის ანგარიში, გაფრქვევათა რაოდენობრივი და თვისობრივი მონაცემების მითითებით;
 - ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედების პრევენციული და შემარბილებელი ღონისძიებები. მოსალოდნელი ემისიების შემცირების ტექნოლოგიური და გარემოსდაცვითი ღონისძიებების დეტალური აღწერილობა;
 - ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა მონიტორინგის გეგმა. მათ შორის, 2013 წლის 31 დეკემბრის №413 დადგენილებით განსაზღვრული უწყვეტი ინსტრუმენტული თვითმონიტორინგის სისტემის საწარმოში დანერგვის შესახებ ინფორმაცია, გაფრქვევის წყაროების, მონიტორინგს დაქვემდებარებული კომპონენტების, თვითმონიტორინგისთვის შერჩეული მეთოდის/ხელსაწყო და სტანდარტის მითითებით;
- გზშ-ის ანგარიშს თან უნდა დაერთოს ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი;
- ექსპლუატაციის პირობების ცვლილებისა და საწარმოს სამუშაო რეჟიმის გათვალისწინებით დეტალური ინფორმაცია ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასების შესახებ (ხმაურის ყველა წყაროს გენ-გეგმაზე დატანით), შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებებისა და მონიტორინგის საკითხების მითითებით;
- შესაძლო ზემოქმედების შეფასება ნიადაგის/გრუნტის ხარისხზე და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- მიწისქვეშა/გრუნტის წყლების შესაძლო დაბინძურებისა და შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია;
- შესაძლო ზემოქმედების შეფასება ზედაპირული წყლის ობიექტზე (დაბინძურების რისკები) და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- საპროექტო ობიექტის მშენებლობა-ექსპლუატაციის პერიოდში ბიოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- ლანდშაფტის ვიზუალური ცვლილებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება და შემარბილებელი ღონისძიებები;

- საპროექტო ობიექტის მშენებლობა-ექსპლუატაციის პერიოდში ნარჩენების წარმოქმნითა და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, პრევენციული და შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით (მათ შორის ნარჩენების მართვის გეგმა);
- მნიშვნელოვანია გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილ იქნეს ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირებით გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები. ამასთან, განხილული იქნეს ზემოქმედების შეფასება სატრანსპორტო ნაკადებზე, შესაბამის შემარბილებელ ღონისძიებებთან ერთად;
- მნიშვნელოვანია, გზმ-ის ანგარიშში დეტალურად იქნეს ასახული პროექტის განხორციელებით გამოწვეული ზემოქმედების შეფასება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე, ასევე განსაზღვრული იყოს ადამიანის ჯანმრთელობასთან/ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით. ამასთან, მნიშვნელოვანია მოცემული იქნეს სკოპინგის ეტაპზე საზოგადოების ინფორმირებისა და მათ მიერ წარმოდგენილი მოსაზრებების/შენიშვნების შეფასება/ანალიზი;
- ისტორიულ-კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე შესაძლო ზემოქმედების შეფასება;
- კუმულაციური ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია 500 მ-იან რადიუსში და მის მიმდებარედ არსებული/საპროექტო ობიექტების გათვალისწინებით. კუმულაციური ზემოქმედების შეფასება წარმოდგენილი უნდა იქნეს გარემოს თითოეული კომპონენტისთვის. ამასთან მნიშვნელოვანია, გათვალისწინებული იქნეს ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირებით მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების საკითხიც. კუმულაციურ ზემოქმედებასთან მიმართებაში, განისაზღვროს შესაბამისი დეტალური შემარბილებელი ღონისძიებები;
- გარემოზე შეუქცევი ზემოქმედების შეფასება და მისი აუცილებლობის დასაბუთება;
- პროექტის ფარგლებში მოსალოდნელი შესაძლო ავარიული სიტუაციების რეაგირების გეგმა;
- ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით შემუშავებული კონკრეტული სახის შემარბილებელი ღონისძიებების შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი;
- ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით შემუშავებული გარემოსდაცვითი მონიტორინგის შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი (საკონტროლო წერტილების, მონიტორინგის სიხშირის, მეთოდის და ა.შ. მითითებით);
- გზმ-ის ფარგლებში შემუშავებული ძირითადი დასკვნები, რეკომენდაციები და საქმიანობის პროცესში განსახორციელებელი ძირითადი ღონისძიებები.

6. საკითხები/ შენიშვნები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს გზმ-ის ანგარიშში:

- 2019 წლის 22 თებერვლის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (№2-60) განსაზღვრული პირობების შესრულების მდგომარეობის შესახებ დეტალური ინფორმაცია (განხილული იქნეს თითოეული პირობის შესრულების საკითხი/ანალიზი);
- ობიექტზე გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული გეგმური-არაგეგმური შემოწმებების, გამოვლენილი დარღვევების

- (არსებობის შემთხვევაში) და მათი აღმოფხვრისთვის სამინისტროს მიერ განსაზღვრული ქმედებების/გონივრული ვადების შესახებ ინფორმაცია;
- ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით გზშ-ის ანგარიშში მითითებული უნდა იყოს მოთხოვნა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის №2-60 (22.02.2019) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადებასთან დაკავშირებით;
 - 2019 წლის 22 თებერვალს შპს „ექსიმგრუპის“ ფეროშენადნობების საწარმოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება მიღებული აქვს **სილიკომანგანუმის წარმოებაზე**, წარმოდგენილი სკოპინგის ანგარიშის თანახმად კი კომპანია ცვლილების ფარგლებში გეგმავს სილიკომანგანუმის, ფერომანგანუმის, ფეროსილიციუმის და ფეროქრომის წარმოებას. **დაზუსტებას საჭიროებს ფერომანგანუმის, ფეროსილიციუმისა და ფეროქრომის შენადნობების წარმოებისა და საჭირო კაზმის დამზადების შესახებ ინფორმაცია;**
 - სკოპინგის ანგარიშში მითითებული - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 22 იანვრის N2-60 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების საფუძველზე, შპს „ექსიმგრუპი“ ახორციელებს ფეროშენადნობების საწარმოს (ფეროსილიკომანგანუმის, ფერომანგანუმის, ფეროქრომის და ფეროსილიციუმის წარმოება) მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტს, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს და საჭიროებს დაზუსტებას ვინაიდან შესაბამისი გზშ-ის ანგარიშის და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების თანახმად საწარმოში დაგეგმილი იყო მხოლოდ ფეროსილიკომანგანუმის წარმოება;
 - 4,8 ტ/სთ წარმადობისა და არსებული სამუშაო რეჟიმის გათვალისწინებით მიღებული პროდუქტის რაოდენობა გადააჭარბებს 42 000 ტონას წელიწადში და იქნება 42 048, **რაც გზშ-ის ეტაპზე საჭიროებს დაზუსტებას;**
 - კაზმის შემადგენლობაში ერთ–ერთ ნედლეულად გათვალისწინებულია ე.წ. „რკინის ბურბუშელა“, რაც გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშისა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიხედვით, არ შედიოდა კაზმის შემადგენლობაში. ე.წ. „რკინის ბურბუშელა“ მეტალის დამუშავების შედეგად მიღებულ ნარჩენს წარმოადგენს. შესაბამისად, გზშ-ის ანგარიშში მოცემული უნდა იყოს აღნიშნული ნარჩენის კოდი და დასახელება, „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს №426 დადგენილებით დამტკიცებული ნარჩენების ნუსხის მიხედვით;
 - პროექტის თანახმად საწარმოს მეტალურგიული ნარჩენების განთავსების მიზნით დაგეგმილი აქვს წიდასაყარის მოწყობა. ხოლო, საქართველოს კანონი - „ნარჩენების მართვის კოდექსის“ თანახმად, ნარჩენების განთავსების მიზნით უნდა მოეწყოს შესაბამისი ნაგავსაყრელი ან/და ნარჩენების დროებითი განთავსების ობიექტი. **შესაბამისად, აღნიშნული საკითხი გზშ-ის ეტაპზე საჭიროებს დაზუსტებას;**
 - გზშ-ის ეტაპზე დეტალურად უნდა იქნეს წარმოდგენილი ინფორმაცია: **ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, წარმოქმნილი წიდის რაოდენობის, გაზრდილი წარმადობის გათვალისწინებით წიდის დასაწყობების ადგილის საკმარისობის, წიდის საბოლოო განთავსების საკითხების, მათ შორის წიდის მართვის სხვადასხვა ალტერნატიული გზების შესახებ;**
 - გზშ-ის ეტაპზე საჭიროა დაზუსტდეს ნედლეულის ღუმელში ტრანსპორტირების საკითხი, ვინაიდან, დოკუმენტში (გვ. 12) მოცემული

ინფორმაციის თანახმად, ნედლეულის გადატანისთვის ბუნკერი ღუმელს სპეციალური მილის საშუალებით უკავშირდება, ხოლო გვ. 13-ზე განმარტებულია, რომ ნედლეული ღუმელს ლენტური ტრანსპორტიორით მიეწოდება;

- გზშ-ში წარმოდგენილი უნდა იქნას მტვერდამჭერი სისტემის დეტალური აღწერა, მათ შორის, მისი ცალკეული საფეხურის დახასიათება, ასევე, ინფორმაცია მტვერდამჭერი სისტემის ეფექტურობის თაობაზე (აირ-ჰაერნარევის შემავალი და გამომავალი კონცენტრაციების ჩვენებით);
 - დაზუსტებას საჭიროებს ციკლონში დალექილი დიდი ზომის ნაწილაკების შემდგომი მართვის საკითხი;
 - გზშ-ის ეტაპზე საჭიროა დაზუსტდეს საპროექტო ტერიტორიის სამხრეთით (დაახლოებით 500 მეტრში) არსებული შენობა-ნაგებობის ფუნქციური დატვირთვა;
 - გზშ-ის ეტაპზე დაზუსტებას საჭიროებს 18 მგვტ ღუმელისთვის ტრანსფორმატორის საჭიროების შესახებ ინფორმაცია (წარმადობა, ტიპი);
 - დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია სახიფათო ნარჩენების დროებითი დასაწყობებისათვის გამოყოფილი სასაწყობო სათავსის შესახებ, გენ-გეგმაზე დატანით;
 - გზშ-ის ეტაპზე წარმოდგენილი უნდა იყოს მოცემული ყველა შესაძლო დაბინძურების შემარბილებელი ღონისძიებები;
- ❖ **გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული საკითხების გათვალისწინების შესახებ, ერთიანი ცხრილის სახით (გვერდებისა და (ქვე)თავების მითითებით).**

დასკვნითი ნაწილი:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით შპს „ექსიმგრუპის“ მიერ წარმოდგენილ პროექტზე, რომელიც ეხება თერჯოლის მუნიციპალიტეტში, სოფ. კვახჭირის მიმდებარე ტერიტორიაზე ფეროშენადნობების წარმოების ქარხნის (სილიკომანგანუმის საწარმოს) ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას, **სავალდებულოა გზშ-ის ანგარიში მომზადდეს** წინამდებარე სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის და წარმოსადგენი დოკუმენტაციის მიხედვით. გზშ-ის ანგარიში შედგენილი უნდა იყოს მოქმედი კანონმდებლობის, განსაკუთრებით სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული მითითებების სრული დაცვით.